

## გადაზიდვის ზოგადი წესები და პირობები

### განმარტებები:

- **კლიენტი:** მხარე, რომელიც მოითხოვს გადაზიდვას.
- **მომხმარებელი:** პრინციპალი, ნებისმიერი კერძო პირი, რომელიც მოქმედებს მისი ვაჭრობის, საქმიანობის ან პროფესიული სფეროს გარეთ და რომელიც მომხმარებლად ითვლება saqarTvelos kanonmdებlobის შესაბამისად .
- **გადამზიდველი:** მხარე, რომელიც იღებს შეკვეთას გადაზიდვის შესახებ და რომელიც ახორციელებს გადაზიდვას პროფესიული მიდგომით.
- **მომსახურების ფორმის შემადგენელი ელემენტები:** გადაზიდვის ხელშეკრულება, გადაზიდვების პერიოდში კლიენტსა და გადამზიდვას შორის მიღწეული ყველა შეთანხმების ჩამონათვალი (მათ შორის, სპეციალური ბრძანებები).
- **ქვეკონტრაქტორი:** კონტრაქტის მხარე, რომელიც გადამზიდველს უზრუნველყოფს სერვისებით (შეფუთვა, დატვირთვა, საგზაო გადაზიდვა, სარკინიგზო გადაზიდვა, საზღვაო და საჰაერო გადაზიდვა, განბაჟების პროცედურები, დასაწყობება და მიწოდება).
- **სამუშაო დღეები:** ყველა კალენდარული დღე, garda SabaTi, კვირა და სახელმწიფო სადღესასწაულო დღეებისა.

### მუხლ 1 - ფასი – წონა – დუბლეტ გარემოება – შესრულება – გაუქმება – გადასახადები

**1.1** ტვირთის მოცულობა და შეკვეთის ვადა, რომელიც მოცემულია გადაზიდვის კონტრაქტში, წარმოადგენს გადაზიდვის ფასის განსაზღვრის საფუძველს. იმ შემთხვევის გარდა, თუ ეს ფასი არ არის განსაზღვრული როგორც ერთიანი თანხა და მას არ ეხება კომპანიის მიერ დაწესებული გადახდის სხვა სტრუქტურა. ნებისმიერი სპეციალური შეკვეთის ფასი, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მუხლი 6-ით განსაზღვრული წესებისა და პირობების საგანს, მოცემულია გადაზიდვის კონტრაქტში (მომსახურების შეკვეთის ფორმა).

**1.2** ფასების დაანგარიშება ხდება დღეების მიხედვით, გაწეული მომსახურების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრულია კანონით და/ან შესაბამისი კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით. გარდა გადამზიდველის მხარეს არსებული ხარვეზული შემთხვევებისა, ყველა ზეგანაკვეთის დაანგარიშება ხდება კომპანიაში არსებული გადახდების სტრუქტურის შესაბამისად. იმ შემთხვევის გარდა, თუ კომპანია არ ჩათვლის საჭიროდ მიმართოს სხვა წესებს, ყველა ზეგანაკვეთის განსაზღვრა გადაზიდვის სექტორში დაიანგარიშება შემდეგნაირად:

- 5-დღიანი სისტემისთვის: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი: 8 საათიანი სამუშაო დღის შემდეგ; ხუთშაბათი და პარასკევი: 7 საათიანი სამუშაო დღის შემდეგ;

**1.3** კონტრაქტის შესრულება იწყება გადამზიდველის საწყობში შესაბამისი აღჭურვილობის მომზადების მომენტიდან. გადამზიდველს მოეთხოვება მხოლოდ კონტრაქტის შესასრულებლად საჭირო ყველა აუცილებელი აღჭურვილობის მიწოდება. ყველა შემთხვევაში, გადამზიდველი იტოვებს უფლებას გამოიყენოს ტრანსპორტირების ის საშუალებები, რომელსაც ჩათვლის უფრო პრაქტიკულად და ეკონომიურად, ისე რომ არ მოხდეს მიწოდების სერვისის არსებითი ელემენტების დაზიანება.

**1.4** მხარე, რომელიც (შეთანხმებული შესრულებიდან ერთი დღით ადრე) უარს იტყვის კონტრაქტზე, ავტომატურად და ოფიციალური შეტყობინების გარეშე, პასუხისმგებელია მოახდინოს ყველა იმ ზიანის, ზარალის და ხარჯების კომპენსირება (უნდა მოიცავდეს ყველაფერს, გამონაკლისის გარეშე), რომელიც კონტრაქტის მონაწილე მხარეს ქონდა იმ მინიმუმის გათვალისწინებით, როგორცაა:

- კონტრაქტის ღირებულების 25% იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შეთანხმების გაუქმება მისი შესრულების თარიღის დადგომამდე ერთი (1) და მეტი კვირით ადრე.
- კონტრაქტის ღირებულების 50% იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შეთანხმების გაუქმება მისი შესრულების თარიღის დადგომამდე შვიდ (7) დღეზე ნაკლებ და 3 დღეზე მეტ პერიოდში.
- კონტრაქტის ღირებულების 75%, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შეთანხმების გაუქმება მისი შესრულების თარიღის დადგომამდე სამი (3) დღით ადრე და ერთი (1) დღით მეტ პერიოდში.

- კონტრაქტის ღირებულების 100% იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შეთანხმების გაუქმება მისი შესრულების თარიღის დადგომამდე 24 საათით ადრე.

**1.5** სასაწყობო ტერიტორიაზე გადასაზიდი ტვირთის და/ან ნივთების ტრანსპორტირება წარმოადგენს ამ წესების და პირობების რეგულირების საგანს. გადასაზიდი ტვირთის და/ან ნივთების დასაწყობების განსაკუთრებული პირობები განსაზღვრულია „კომპანიის დასაწყობების და შენახვის ზოგად წესებსა და პირობებში“, რომელიც წარმოადგენს ამ წესებით და პირობებით განსაზღვრული შეთავაზების და დასაწყობების კონტრაქტის შემადგენელ ნაწილს.

**1.6** გადაზიდვის ფასი მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს (VAT) და ყველა სხვა გადასახადებს და მომსახურების ღირებულებას, რომლის გადახდაც კლიენტს დამატებით მოეთხოვება.

## **მუხლი 2 – შეთავაზება/კოტირება**

ნებისმიერი ფორმით გაკეთებული გადამზიდველის ნებისმიერი შეთავაზება ან სატენდერო წინადადება, თავისუფალია ნებისმიერი სახის ვალდებულებისგან და არ აკისრებს გადამზიდველს პასუხისმგებლობას ვიდრე არ მოხდება მომხმარებლის მხრიდან ხელმოწერილი შეთანხმების მიღება.

## **მუხლი 3 – სუბნარდების გაცემა**

გადამზიდველს აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს შეთანხმების შესრულების ვალდებულება მესამე მხარეს – სუბკონტრაქტორს, თუ ეს შესაძლებლობა პირდაპირ არ იკრძალება კლიენტის მიერ წერილობითი ფორმით.

## **მუხლი 4 – საერთაშორისო გადაზიდვები**

გადაზიდვების ზოგადი წესების და პირობების სხვა მუხლებში მითითებული დებულებების გარდა, ეს მუხლი ცალსახად ეხება გადაზიდვას საქართველოში ან საქართველოდან, ან ევროკავშირის ორ წევრ სახელმწიფოს შორის, ან ევროკავშირისა და მესამე ქვეყანას შორის.

### **4.1 ფასი – წონა**

**4.1.1** გადაზიდვის ფასის, მათ შორის ერთიანი ღირებულების, დაანგარიშება ხდება იმ ტარიფების გათვალისწინებით, რომელიც მოწოდებულია ქვეკონტრაქტორის მიერ. კონტრაქტის ხელმოწერის მომენტისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიუხედავად, მხედველობაში მიიღება ის არსებული კურსი, რომელიც იყო ქვეკონტრაქტორთან კონტრაქტის რეალიზაციის მომენტში და უფრო მეტიც, ის ჩაითვლება ერთადერთ მოქმედ კურსად. ფასის გადახედვა შეიძლება მოხდეს შესაბამისად ქვეკონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორების მხრიდან ფასების ცვლილებების შემთხვევაში იმ დადგენილი პროცედურების შესაბამისად, როგორც დაიდო ხელშეკრულება, გადამზიდველის სურვილის და ქვეკონტრაქტორის უბრალო ნების მიუხედავად იმ ელემენტების ჩამოთვლის საფუძველზე, რომელიც მოცემულია ამ წესებში და პირობებში ფასთან დაკავშირებული განახლებების საფუძვლის კომუნიკაცია უნდა მოხდეს კლიენტთან მაშინვე როგორც კი ის ცნობილი გახდება გადამზიდველისთვის. აღნიშნულის გათვალისწინება უნდა მოხდეს როგორც ფასის მატების, ისე დაკლების შემთხვევაში.

**4.1.2** ტვირთის წონა, რომლის ტრანსპორტირება ხდება რკინიგზით, შიდა წყლებით ან ზღვით, კონტეინერით ან ზღვის კონტეინერით, გულისხმობს დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს 100-კგ მ<sup>3</sup>-ზე ყველა ჭარბი წონის დაანგარიშება მოხდება, შესაბამისად, 100 კგ ერთეულზე ცალკე ან ფრაქციულად. ტვირთის წონა, რომლის გადაზიდვაც ხდება ავტოგზით, გულისხმობს დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს 100 კგ მ<sup>3</sup>-ზე შესაბამისად, ყველა ჭარბი წონის დაანგარიშება მოხდება 100 კგ ერთეულზე ცალკე ან ფრაქციულად,

საჰაერო გადაზიდვების შემთხვევაში, ფრახტის ღირებულების განსხვავებული დაანგარიშება მოხდება. ფრახტის ღირებულებაზე გავლენას ახდენს ტვირთის მოცულობა, კერძოდ, მოცულობითი წონა სადაც 1კგ ფრახტი შეიძლება მოიცავდეს მაქსიმუმ 6,000 სმ<sup>3</sup>. თუ რეალური წონა უფრო მეტია, ასეთ შემთხვევაში, ის გამოიყენება როგორც კალკულაციის საფუძველი.

### **4.2 გადასახადები – განბაჟება – ინფორმაცია**

გადასახადები, რომელიც ასოცირდება საერთაშორისო გადაზიდვებთან კლიენტის მხრიდან ცალკე ინვოისის მოითხოვს. არ არის აუცილებელი მისი რაოდენობის ცოდნა კონტრაქტის დადების მომენტში, ამისთვის ინვოისის გამზადება და კლიენტისთვის მიწოდება შესაძლებელია მოგვიანებით.

**4.2.1** კლიენტს მოეთხოვება გადასცეს ან გაუზიაროს გადამზიდველს ყველა შესაბამისად გაფორმებული დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია ტრანსპორტირებისთვის და ტვირთის მისაღებად, აგრეთვე შესაბამისი საბაჟო პროცედურების განსახორციელებლად. აუცილებლობის შემთხვევაში, კლიენტი

პირადად უნდა გამოცხადდეს საბაჟოზე პირველივე მოთხოვნისთანავე. განბაჟების პროცედურები ყოველთვის ხორციელდება იმ ინფორმაციაზე და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, რომელსაც კლიენტი აწვდის გადამზიდველს. იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის გათვალისწინებული, გადამზიდველი ან მისი წარმომადგენელი ახორციელებს განბაჟების პროცედურებს კლიენტის სახელით ან მის ხარჯზე.

**4.2.2** კლიენტს აკისრია სრული პასუხისმგებლობა იმ ინფორმაციის სისწორეზე, რომელსაც ის აწვდის ხელისუფლებას და გადამზიდველს ან ნებისმიერ მესამე მხარეს. მხოლოდ კლიენტს ეკისრება ყველა იმ მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება დადგეს იმ ინფორმაციიდან და/ან დოკუმენტაციიდან გამომდინარე, რომელიც არის გაყალბებული, არასრული, დაგვიანებული, ან არასწორი, მისი მხრიდან დაშვებული შეცდომის გამო. უფრო მეტიც, კლიენტმა უნდა აუნაზღაუროს გადამზიდველს ყველა ხარჯი, რომელიც შეიძლება დადგეს ამ ხარვეზის შედეგად.

## **მუხლი 5 – ტვირთი, რომელიც გადაზიდვას არ ექვემდებარება**

**5.1** პირდაპირი და წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, კლიენტს ეკრძალება ა) გადამზიდველს გადასცეს ტრანსპორტირებისთვის შემდეგი საგნები:

- a) ნარკოტიკები, იარაღი;
- b) საქონელი, რომელიც მოითხოვს ნებართვას;
- c) ოქრო, ძვირფასი მეტალისგან დამზადებული ნივთები, ქაღალდის ვალუტა, ძველი მონეტები, ფასიანი ქაღალდები, უფლებამოსილების დამადასტურებელი სერთიფიკატები, საფოსტო მარკების კოლექცია;
- d) ბეწვი, ცოცხალი ცხოველები, მცენარეები;
- e) სითხე, რომელიც ზოგადად აალების, ან აფეთქების რისკის შემცველია ან შეუძლია ზიანი მიაყენოს სხვა საქონელს, როგორც არის ფოსფორი, საწვავი (ბენზინი), ნახშირი, ასანთი, საღებავი, ელემენტი, მჟავა, ან კაუსტიკური ნივთიერებები;
- f) ზოგადად, ნებისმიერი ნივთიერება ან სითხე, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს გ) აღჭურვილობას ან საქონელს, რომლის ტრანსპორტირებაც ხორციელდება.
- g) ქონება/საკუთრება, რომელიც პირდაპირ ეკრძალება ქვეყანაში, რომელიც წარმოადგენს დანიშნულების ადგილს.

**5.2** ყველა სახის რისკზე, დანაკარგზე ან ზარალზე, რომელიც შეიძლება დადგეს ამ დებულების დარღვევის შედეგად, პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს. კლიენტი აუნაზღაურებს გადამზიდველს და დაფარავს ნებისმიერ ოდენობას, რომელსაც მოითხოვს გადამზიდველი მესამე მხარის მოთხოვნის საფუძველზე ამ მოთხოვნის იგნორირების გამო.

## **მუხლი 6 – სპეციალური მოთხოვნა**

გადამზიდველმა შესაძლოა, კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, შეასრულოს გადაზიდვასთან დაკავშირებული გარკვეული სამუშაოები, როგორცაა ფარდაგების, ფარდების, სარკეების, საღებავების და განათების საშუალებების მოშორება ან დაფენა, თავმოყრა და შეფუთვის შემცირება, პიანინოს, სეიფის და სხვა აღჭურვილობის ტრანსპორტირება, ღვინის შეფუთვა და გადაფუთვა. სპეციალური მითითებების და მასთან დაკავშირებული ფასების განსაზღვრა ხდება გადაზიდვის კონტრაქტში. ასეთ შემთხვევაში, გადამზიდველი იღებს ვალდებულებას შესაბამისი რესურსი გახადოს ხელმისაწვდომი, მაგრამ არ იძლევა შედეგზე გარანტიას.

## **მუხლი 7 – შეფუთვა**

ყველა შესაფუთი მასალა, რომელიც არ დაბრუნდება კლიენტის მხრიდან გადაზიდვის დასრულების შემდეგ, ავტომატურად და ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, იძლევა კომპენსირების საფუძველს დანაკარგზე და მასთან ასოცირებულ აღდგენის ხარჯებზე; დაანგარიშება მოხდება კომპანიაში არსებული გადახდის სტრუქტურის შესაბამისად.

## **მუხლი 8 – შეფუთვა და გადაფუთვა – ინვოისი**

კონკრეტული შემთხვევის გარდა, შეფუთვის სამუშაო სრულდება გადაზიდვის დაწყებამდე ერთი დღით ადრე და მისი ინვოისი კეთდება ცალკე. იგივე ეხება გადაფუთვის სამუშაოს, რომელიც სრულდება გადაზიდვის დასრულების შემდეგ.

## **მუხლი 9 – პირადი ნივთები**

პირადი ნივთები და საცვლები უნდა შეფუთოს თავად კლიენტმა გადამზიდველის ჩარევის გარეშე. ნებისმიერი რისკი, დანაკარგი და ზარალი, რომელიც შეიძლება დადგეს ხსენებული წესების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ეკისრება კლიენტს ყოველთვის.

## **მუხლი 10 – კლიენტის სპეციალური ვალდებულებები და ინვენტარიზაცია**

**10.1** გადამზიდვის ფასის დაანგარიშება ხდება კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. შედეგად, კლიენტს მოეთხოვება გადამზიდველს სწორად მიაწოდოს ყველა საჭირო ან სასარგებლო ინფორმაცია მისი მოთხოვნის შემდეგ, რაც საშუალებას მისცემს გადამზიდველს ქონდეს სწორი წარმოდგენა ვითარების შესახებ, რის საფუძველზეც უნდა შესრულდეს კონტრაქტი (შეფუთვა, დატვირთვა, გადაზიდვა, გადმოტვირთვა, სხვა). განსაკუთრებით, კლიენტმა უნდა გაამახვილოს გადამზიდველის ყურადღება ტვირთის ბუნებაზე, მაგალითად მის ღირებულებაზე ან სიმძიმეზე ან ნივთებზე, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ მოპყრობას (მაგალითად ანტიკვარიატი და ხელოვნების ნიმუში), ჩამონათვალი შეიძლება იყოს ვრცელი. მან კეთილსინდისიერად უნდა მიუთითოს ყველა ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ნორმალურ სამუშაო დატვირთვაზე ან რომელმაც შეიძლება გაზარდოს სირთულის ხარისხი. ამ კონტექსტში, მომხმარებელმა ზუსტად უნდა მიუთითოს ადგილმდებარეობა და შენობის განლაგება. არსებობის შემთხვევაში უნდა მიუთითოს ადგილი მისასვლელი გადამზიდველი მანქანისთვის, თუ არის ისეთი ადგილი, რომელზეც აუცილებელია ინფორმირება, მაგალითად მოუპირკეთებელი გზები, თხრილები და სხვა დაბრკოლებები, რომლის გადალახვა იქნება საჭირო, თუ არის საკმარისად ფართო კიბეები, თუ ფუნქციონირებს ლიფტი და თუ შეიძლება მისი გადამზიდველების მიერ გამოყენება და ა.შ. ნებისმიერ შედეგებზე პასუხისმგებლობა და დამატებით ხარჯები ინფორმაციის მიუწოდებლობის, ან დაუდევრობის ან შეცდომების შედეგად წარმოქმნილი, დამკვეთის ან/და მისი/მისი წარმომადგენლის მხრიდან, ეკისრება დამკვეთს.

**10.2** კლიენტი ან მისი წარმომადგენელი უნდა ესწრებოდეს ისეთი სამუშაოების მიმდინარეობის მთელ პროცესს, როგორცაა: შეფუთვა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, მათ შორის შედის შესვენებისა და ჭამის დრო. თუ კლიენტი, მისი აგენტი ან წარმომადგენელი ყველაფრის მიუხედავად დატოვებს ობიექტს სამუშაოების მიმდინარეობის დროს, გადამზიდველს არავითარ შემთხვევაში არ ეკისრება პასუხისმგებლობა არავითარ მოთხოვნაზე, რომელიც შეიძლება კანონიერად წარმოიშვას მათი არყოფნის პერიოდში ან იყოს კლიენტის, მისი აგენტის ან წარმომადგენლის არყოფნის შედეგი.

კლიენტმა, მისმა აგენტმა ან წარმომადგენელმა პირადად უნდა უზრუნველყოს, რომ არაფერი დარჩეს ადგილზე გადამზიდვების მომსახურების შემდეგ. მას თავად ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შედეგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ამ დებულებების შეუსრულებლობით.

**10.3** სასურველია კლიენტმა გააკეთოს გადასაზიდი ტვირთის ინვენტარიზაცია ორივე მხარის თანდასწრებით, მან გარკვევით უნდა მიაწოდოს გადამზიდველს ინფორმაცია მოთხოვნის შესახებ. ეს უკანასკნელი გამოყოფს სპეციალურ პიროვნებას ამ მიზნით. ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საჭირო ხარჯების დაფარვა უნდა მოხდეს კლიენტის მიერ და ამის შესახებ კომუნიკაცია წინასწარ უნდა მოხდეს. ნებისმიერი სხვა სახით გადამზიდველისთვის მიწოდებული ინვენტარიზაცია მას პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს.

**10.4** კლიენტმა ან მისმა წარმომადგენელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რომ ტვირთის ჩამოსვლისთანავე მოხდეს გადამზიდველის სატრანსპორტო საშუალების გადმოტვირთვა.

ნებისმიერ შედეგებზე პასუხისმგებლობა და დამატებითი ხარჯები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ასეთი ზომების არ მიღების შემთხვევაში, ეკისრება კლიენტს.

**10.5** კლიენტს ეკისრება პასუხისმგებლობა დაფაროს ყველა ის ხარჯი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გადამზიდველი სატრანსპორტო საშუალების და ამწევი მოწყობილობის პარკირებისთვის, რომელიც ასევე შეიძლება იყოს ადგილობრივი პოლიციის რეგულაციების მოთხოვნაც. იმ შემთხვევაში თუ ასეთ ვითარებაში გადამზიდველი შესთავაზებს მის მომსახურებას, მაშინ შესაბამისი ხარჯების დაფარვა უნდა მოხდეს კლიენტის მიერ.

**10.6** ნებისმიერი დაყოვნება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კლიენტის ან მისი წარმომადგენლის მხრიდან გამოხატული მოწყობილობის და პერსონალის იმობილიზაციით, იძლევა კლიენტის მიერ გადამზიდველისთვის კომპენსაციის გადახდის საფუძველს, რადგან კონტრაქტით გათვალისწინებული გადაზიდვის ფასი ვეღარ ფარავს ნამუშევარ საათებს. ასეთ შემთხვევაში კომპენსაცია უტოლდება იმ სხვაობას, რომელსაც ადგილი ქონდა შეთანხმებულ გადაზიდვის ფასსა და რეალურად არსებულ

გადაზიდვის ფასს შორის (მხედველობაში მიიღება ყველაფერ სხვასთან ერთად, რეალურად ნამუშევარი საათები), პლიუს ნებისმიერი ზიანი, დანაკარგი და ხარჯი (უნდა მოიცავდეს ყველაფერს და გამონაკლისების გარეშე), რომელიც ქონდა გადამზიდველს დაყოვნების შედეგად.

იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არის მომხმარებელი, გადასახდელი კომპენსაცია კლიენტის მხრიდან გადამზიდველის სასარგებლოდ, წინა პარაგრაფის შესაბამისად, შემოიფარგლება გადაზიდვის ფასის 20%-ით.

## **მუხლი 11 – ყადაღა და დაკავების უფლება**

**11.1** კლიენტი ანიჭებს გადამზიდვას (1) კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებას დააკაოს ყველა ტვირთი, რომელსაც ის ანდობს გადამზიდვას შესაბამისი გადაზიდვის დაკვეთით და (2) ყველა უფლებას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

გადამზიდვამ შეიძლება გამოიყენოს დაკავების უფლება და განახორციელოს ამ ტვირთის დაყადაღება, როგორც გარანტია ყველა იმ პრეტენზიის შესრულებაზე, რომელიც მას აქვს ან შეიძლება ქონდეს მაშინაც კი თუ ამ პრეტენზიის საფუძველს წარმოადგენს გაფორმებული გადაზიდვის შეკვეთის გარდა სხვა გარემოება.

**11.2** ნებისმიერ შემთხვევაში, კლიენტი ანიჭებს გადამზიდველს უპირობო უფლებას გამოითხოვოს მისი აღჭურვილობა ორ დღიანი უძრაობის შემთხვევაში და განათავსოს ტრანსპორტირებული ტვირთი სასაწყობო ტერიტორიაზე ან საწყობში. აღნიშნულის მოხდენის შემთხვევაში, კლიენტი ერთადერთი პასუხისმგებელი პირია, რომელიც საკუთარ თავზე იღებს რისკს და ხარჯებს, მათ შორის შემდგომ მიწოდებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. იმ შემთხვევაში თუ ტვირთის შენახვა საწყობში გაჭიანურდება ერთ თვეზე მეტი პერიოდით და კლიენტი კვლავაც ვერ ახერხებს შესაბამისი ზომების მიღებას გადამზიდველისგან წერილობით ოფიციალური შეტყობინების მიღებიდან რვა დღის განმავლობაში, კლიენტი უპირობოდ ანიჭებს გადამზიდველს უფლებას გაყიდოს მისი ტვირთი გადამზიდველის სახელითა და მისი ანგარიშის სასარგებლოდ. მიუხედავად ზემოთქმულისა, გადამზიდვას აქვს უფლება უფრო ადრე გაყიდოს მალფუჭებადი ტვირთი კლიენტის მითითების დალოდების გარეშე.

**11.3** იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება ანგარიშსწორება გადახდის იმ წესების და პირობების შესაბამისად, რომელიც მოცემულია მე-14 და/ან მე-15 მუხლში, რის შედეგადაც გადამზიდველს მოეთხოვება გამოიყენოს მისი დაყადაღების უფლება, კლიენტს პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა დამატებით ხარჯზე, როგორცაა შენახვის, დაყოვნების ხარჯები.

## **მუხლი 12 – გადამზიდველის პასუხისმგებლობა**

**12.1** დაუძლეველი ძალის გარემოებების გარდა, რომელიც ჩამოთვლილია 12.5 მუხლში, გადამზიდველი პასუხისმგებელია იმ დანაკარგზე და ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს ნივთებს გადაზიდვის დროს, ისევე როგორც ზიანზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს გადამზიდველის ბრალეულობით გამოწვეული დაყოვნებით, მაგრამ არა იმ დაყოვნებისთვის, რომელიც გამოწვეულია მესამე მხარის მიერ და/ან დაუძლეველი ძალის შედეგად (მაგალითად, და არა მხოლოდ, საცობები გზაზე, ავარია და სხვა).

ტერმინი "დაყოვნების" გაგება გულისხმობს:

- გადამზიდველისთვის საქართველოს ფარგლებში: მიწოდება, რომელიც გვიანდება 6 საათზე მეტი პერიოდით, მასში არ იგულისხმება მგზავრობისთვის განკუთვნილი დრო.
- გადამზიდველისთვის უცხო ქვეყანაში: მიწოდება, რომელიც გვიანდება 24 საათზე მეტი პერიოდით ვიდრე ეს შეთანხმებული იყო, მასში არ იგულისხმება მგზავრობისთვის განკუთვნილი დრო.

**12.2** დაუძლეველი ძალის გარემოებების გარდა, რომელიც ჩამოთვლილია 12.5 მუხლში, გადამზიდველი პასუხისმგებელია მის ქვეკონტრაქტორებზე, იმ დანაკარგზე და ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს ნივთებს გადაზიდვის და დაგვიანებული მიწოდების დროს მისი ქვეკონტრაქტორების მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლით **12.1**.

### **12.3 პრეტენზია**

**12.3.1** კლიენტის მიერ ნივთების მიღება, რომელიც არის გადაზიდვის ნაწილი, წერილობითი დადასტურების გარეშე ან მიწოდების შემდეგ პრეტენზია, ან, იმ შემთხვევაში, თუ მაშინვე აშკარა დაზიანებებს და ზარალს არ ქონდა ადგილი, მიწოდებიდან 2 (ორი) დღის ვადაში, არ ითვლება მიწოდების

დღე, ჩაითვლება როგორც დასტური, რომ ტვირთის მიწოდება მოხდა იმავე მდგომარეობაში, როცა ის მიიღო გადამზიდველმა.

**12.3.2** სავალდებულო კანონის შესაბამისი წესების გვერდის ავლის გარეშე, რომელიც ეხება ვადაში შეზღუდვას (მოქმედების დროს), ნებისმიერი პრეტენზია გადამზიდველის მიმართ ძალას კარგავს დაზიანების და/ან ნაკლის აღმოჩენიდან ერთი წლის შემდეგ, ან ამ საკითხზე დავის შემთხვევაში ინვოისის თარიღიდან ერთი წლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაზიანება გამოწვეულია გადამზიდველის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებელი ქმედებით. ამ შემთხვევაში, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი.

**12.4** ყველა შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი გადამზიდველის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ეკისრება კლიენტს. ზემოთ ხსენებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერი პრეტენზია გადამზიდველის მიმართ უნდა იყოს აღნიშნული კლიენტის მიერ დოკუმენტში, რომელსაც ის გადასცემს გადამზიდველს მიწოდების დროს. ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც წარმოადგენს გამოთქმული უკმაყოფილების დასტურს, უნდა გადაიგზავნოს კლიენტის მიერ გადამზიდველთან დაზღვეული წერილით ტვირთის მიწოდებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, არ ითვლება მიწოდების დღე.

**12.5** გადამზიდველი ყველა შემთხვევაში თავისუფალია ნებისმიერი პასუხისმგებლობიდან იმ შემთხვევაში, თუ ტრანსპორტირებისთვის და გადასაცემად გამზადებული ავეჯის, აღჭურვილობისა და ნივთების შეფუთვა და/ან გადაფუთვა მოხდა სხვა მხარის მიერ და არა გადამზიდველის ან მისი ქვეკონტრაქტორის მიერ, ისევე როგორც ნებისმიერი დაზიანებისთვის და დანაკარგისთვის, რომელსაც ადგილი ქონდა გადაზიდვების დროს და რომელიც ასოცირდება კლიენტთან, მის ოჯახის წევრთან, მის წარმომადგენელთან ან მესამე მხარესთან, მათ შორის ნებისმიერი დაზიანება მიყენებული შენობისთვის ამ პიროვნებების მიერ.

**12.6** გადამზიდველი არ არის, ასევე, პასუხისმგებელი იმ პირდაპირ და ირიბ შედეგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ომის, ტერაქტების, რევოლუციის, სამოქალაქო და პოლიტიკური არეულობის, გაფიცვების, გამოსვლების, ეპიდემიების, კარანტინის, ჭექა-ქუხილის, ხანძრის, წყალდიდობის, დიდთოვლობის, ყინვის, ქარიშხლის, ყინულის ღღობის, შემოვლითი გზებით სარგებლობისთვის, დაყოვნებისთვის სადგურში, აეროპორტში ან საბაჟოზე, და სხვა გარემოებების დროს, როცა გადაზიდვების მართებული შესრულება შეუძლებელია.

**12.7** გადამზიდველი მოქმედებს როგორც პასუხისმგებელი პროფესიონალი გადაზიდვის სექტორში და იღებს ყველა საჭირო ზომას, რომელიც გარემოებების გათვალისწინებით, ყველაზე მეტად შეეფერება კლიენტის ინტერესებს. ყველა საფუძვლიანი ხარჯი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში და დაწვება გადამზიდველს, უნდა ანაზღაურდეს კლიენტის მიერ.

**12.8** ნივთებისთვის მიყენებულ დაზიანებაზე და დანაკარგზე, რომელიც გადაზიდვების საგანს წარმოადგენს, გადამზიდავის მხრიდან დაუდევრობის შემთხვევაში, მისი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება დაკარგული ან დაზიანებული ნივთის ყოველ კუბურ მეტრზე 125 ევროს ოდენობით, გადამეტებული გადასახადების შემთხვევაში, კლიენტი ექვემდებარება 250 ევროს დაქვითის მოთხოვნას თითოეული გადაზიდვისას.

**12.9** დაგვიანებული მიწოდების შემთხვევაში, გადამზიდველის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს გადაზიდვის ღირებულების არა უმეტეს 20%-ით. დაგვიანებული მიწოდების დროს, კომპენსირება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს შეუძლია წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ ამის შედეგად მას ზარალი მიადგა და მოთხოვნის გაგზავნა უნდა მოხდეს გადამზიდველისთვის დაზღვეული წერილით ორი დღის ვადაში, არ ითვლება მიწოდების დღე, გადასაზიდი ნივთების ჩაბარების დღე ადრესატისთვის.

**12.10** იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არის მომხმარებელი და თუ გადამზიდველის პასუხისმგებლობა დადგა მუხლი **12.1** ან **12.2**-ის შესაბამისად, უფრო მეტიც, კლიენტს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ზიანი დადგა მისი ბრალეულობით, უნდა მოხდეს კომპენსაციის გადახდა მუხლი **12.8** და/ან მუხლი **12.9** წერილობითი შეტყობინების მიღებიდან თოთხმეტი (14) დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო პროცენტი 10%-ის ოდენობით იქნება გადასახდელი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან, ისევე როგორც დადგენილი და შეუმცირებელი კომპენსაცია ძირითადი თანხის 10%-ის ოდენობით დადასტურებული ზარალისთვის, მინიმუმ 150 ევროს ოდენობით.

12.11 კლიენტს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შეაჩეროს, მთლიანად ან ნაწილობრივ, გადამზიდველისთვის განკუთვნილი გადახდა, ნებისმიერი სახის დანაკარგზე, დაზიანებაზე ან დაგვიანებაზე აპელირებით.

### **მუხლი 13 – “ყველა რისკის” დაზღვევა**

13.1 კლიენტმა შეიძლება სთხოვოს გადამზიდველს ისეთი ნივთების ტრანსპორტირება, რომელიც წარმოადგენს “ყველა რისკზე” დაზღვევის საგანს, კერძოდ: ქურდობაზე, დაზიანებაზე, დანაკარგზე, ხანძარზე და სხვა, დაზღვევის დაფარვის ზოგადი წესების და პირობების ფარგლებში, გადამზიდველის მცოცავი პოლიტიკის შესაბამისად. ნივთების სადაზღვევო ღირებულება, რომელიც წარმოადგენს გადაზიდვების საგანს გაიგება “საერთო ღირებულების” მნიშვნელობით – სადაც შესაბამისი ნივთი ექვემდებარება პროპორციის წესს – რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ტვირთის ტრანსპორტირების დროს მიმდინარე მდგომარეობის საერთო ღირებულებას.

13.2 კლიენტი თავისუფალია სადაზღვევო სააგენტოს არჩევანში. ასეთ შემთხვევაში ის იღებს ვალდებულებას შეასრულოს სადაზღვევო პოლისის პირობები ნებისმიერი ექსცესების გარეშე, სადაც რისკები გათვლილია და სადაზღვევო ღირებულება შეესაბამება იმას, რაც ზემოთ იყო ნახსენები. უფრო მეტიც, კლიენტი უშვებს შესაძლებლობას დამზღვევისგან მიიღოს “რესურსზე უარი” გადამზიდველის სასარგებლოდ. თუ კლიენტი ვერ ახერხებს მტკიცებულების მიწოდებას, გადამზიდველმა შესაძლოა განაცხადოს უარი გადაზიდვის სამუშაოს შესრულებაზე.

13.3 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ მიაწოდებს გადამზიდველს ნებისმიერი შინაარსის ინსტრუქციას (წერილობით) დაზღვევის გაფორმებასთან დაკავშირებით, გადამზიდველისთვის ეს ნიშნავს, რომ კლიენტმა დააზღვია თავისი ტვირთი თავადვე იმ ვალდებულების შესაბამისად, რომელიც მოცემულია მუხლში 13.2.

### **მუხლი 14 – საქართველოს ფარგლებში გადაზიდვების ანგარიშსწორების წესები და პირობები**

14.1 გადამზიდველის მიერ მოწოდებული ინვოისი კლიენტისთვის მოქმედად ითვლება, თუ ისინი სადავო საკითხების გასარკვევად ერთმანეთს არ დაუკავშირდებიან ინვოისზე მითითებული თარიღიდან რვა (8) დღის განმავლობაში.

14.2 ყველა ინვოისის დაფარვა უნდა მოხდეს ინვოისზე მითითებული თარიღიდან თოთხმეტი (14) დღის ვადაში, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ასევე გადამზიდველის მხრიდან ყოველგვარი ვასდაკლების და ხარჯების გამოკლების გარეშე.

14.3 იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ზემოთ ხსენებულ პერიოდში გადახდა, კონტრაქტით გათვალისწინებული დაგვიანებული გადახდისთვის დადგენილი 10% ექვემდებარება ანაზღაურებას-ავტომატურად და ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე – ინვოისის თარიღიდან, ისევე როგორც დადგენილი და შეუმცირებელი კომპენსაცია ინვოისის ღირებულების 10%-ის ოდენობით ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად, მინიმუმ 150 ევროს ოდენობით.

14.4 დადგენილ ვადაში ინვოისის გადაუხდელობის შემთხვევაში, ყველა სხვა გადაუხდელი თანხა ხდება, აგრეთვე, დაუყოვნებლივ გადახდის საგანი.

### **მუხლი 15 – უცხოეთში გადაზიდვების ანგარიშსწორების წესები და პირობები**

15.1 თანხის გადახდა, რომელიც ეკუთვნის გადამზიდველს, მიუხედავად მისი ბუნებისა, უნდა მოხდეს ნალდი ანგარიშსწორებით. კლიენტმა უნდა გადაუხადოს გადაზიდვის ფასი გადამზიდველს სრულად მინიმუმ სამი დღით ადრე, სანამ მოხდება ტვირთის გატანა საქართველოდან.

15.2 გადამზიდველი იტოვებს უფლებას, იმ ტვირთთან მიმართებაში, რისი ფასიც ჯერ არ არის გადახდილი, გადადოს მიწოდება იმ დრომდე, სანამ კლიენტი არ შეასრულებს დაკისრებულ ანგარიშსწორების ვალდებულებას. ნებისმიერი დამატებითი თანხა (დემერეჯი, შენახვის და დაყოვნების ხარჯები) კლიენტის გადასახდელია და უნდა დარეგულირდეს სხვა გადაუხდელ გადაზიდვის ხარჯებთან ერთად, სანამ მოხდება გადასახიდი ტვირთის მიწოდება.

15.3 იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ზემოთ ხსენებულ პერიოდში გადახდა, კონტრაქტით გათვალისწინებული დაგვიანებული გადახდისთვის დადგენილი 10% ექვემდებარება ანაზღაურებას-ავტომატურად და ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე – ინვოისის თარიღიდან, ისევე როგორც

დადგენილი და შეუმცირებელი კომპენსაცია ინვოისის ღირებულების 10%-ის ოდენობით ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად, მინიმუმ 150 ევროს ოდენობით.

### **მუხლი 16 – ბათილობა**

ნებისმიერი აქ მოცემული ერთ-ერთი წესის და პირობის ბათილობა არ გულისხმობს ყველა სხვა დანარჩენი დებულების ბათილობას, რომელიც აგრძელებს მოქმედებას.

### **მუხლი 17 – გადაზიდვების ზოგადი წესების და პირობების თარგმანი**

გადაზიდვების ზოგადი წესების და პირობების თარგმანი შესრულდა ინგლისური ენიდან.

სიტყვებთან, შინაარსთან, აზრთან, მნიშვნელობასთან და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული გაუგებრობის შემთხვევაში ქართულ თარგმანში, ინგლისური ენა ჩაითვლება მთავარ დოკუმენტად და იქ მოცემული განმარტება და ინტერპრეტაცია ჩაითვლება უპირატესად ნებისმიერ თარგმანთან მიმართებაში.

### **მუხლი 18 – დავები, მოქმედი კანონმდებლობა და იურისდიქცია**

**18.1** საქართველოს კანონმდებლობა გამოიყენება წინამდებარე შეთანხმებასა და მის საფუძველზე დადებულ ყველა კონტრაქტის მიმართ გადამზიდველსა და კლიენტს შორის.

**18.2** მხარეები, მათ შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, მიმართავენ საქართველოს კომპეტენტურ სასამართლოს.



## GOSSELIN MOBILITY GEORGIA – GENERAL TERMS AND CONDITIONS FOR REMOVALS

### DEFINITIONS:

- **The Customer:** the party ordering the removal.
- **The Consumer:** the principal, any private individual who acts with a purpose that is outside his/her trade, business, profession or professional activity, and who is considered a Consumer in accordance with applicable Georgian legislation.
- **The Remover:** the party receiving the order and who delivers removals as a professional service
- **The Order for Service Form:** the removal contract, the enumeration of all agreements reached within the framework of the removal (including special orders) between the Remover and the Customer.
- **The Subcontractor:** the contracting party who delivers services to the Remover (packing, loading, road haulage, carriage by rail, sea or air, customs formalities, storage, and deliveries).
- **Working days:** all calendar days to the exclusion of Saturdays, Sundays and legal holidays.

### ARTICLE 1 – PRICE – WEIGHT – FORCE MAJEURE – PERFORMANCE – CANCELLATION – TAXES

**1.1** The volume of the goods and the duration of the order as set out in the removal contract serve as the basis of the removal price. Unless expressly provided otherwise this price is not agreed as a lump sum, and the rate of the enterprise is applicable. The price for any special instructions that may be agreed in accordance with Art. 6 of these conditions is stated in the removal contract (the Order For Service Form).

